ხელშეკრულება№ 01-08-15/409-2018-2

ქ. თბილისი 10 მაისი 2018წ.

ერთის მხრივ, ssიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი მისი რექტორის არჩილ ფრანგიშვილის სახით (შემდგომში ,,დამკვეთი") da მეორეს მხრივ იურიდიული პირი შპს „ჯეოინვესტი", წარმოდგენილი დირექტორის, გიორგი კუხალაშვილის სახით (შემდგომში "შემსრულებელი"), ვდებთ აღნიშნულ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. შემკვეთი ავალებს, ხოლო შემსრულებელი კისრულობს ვალდებულებას შემდეგი მომსახურების გაწევაზე:

ა) საწარმოო პრაქტიკის გასატარებლად მიიღოს შემკვეთის მიერ საწარმოო პრაქტიკაზე გაგზავნილი შემდეგი საბაკალავრო პროგრამით: სამშენებლო სატრანსპორტო-ტექნოლოგიური საშუალებები" და პროფესიული პროგრამით: სამშენებლო-საგზაო-სალიანდაგო მანქანების და მოწყობილობების ტექნიკოსი -040854 - III, IV და V საფეხურის სტუდენტები.

ბ) შემსრულებელი პრაქტიკანტებს დაუნიშნავს მენტორს და უზრუნველყოფს პრაქტიკის მაღალ დონეზე გატარებას შემკვეთის მიერ მიწოდებული პრაქტიკის სილაბუსისა და დღიურის შესაბამისად;

გ) პრაქტიკის დასრულების შემდეგ თითოეულ სტუდენტზე გასცემს ბეჭდით დამოწმებულ დასკვნა-დახასიათებას;

2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

2.1. შემსრულებელი:

2.1.1. უწევს ამ ხელშეკრულების 3.1.-ით გათვალისწინებულ მომსახურებას შემსრულებლის ადგილსამყოფელის მიხედვით: ქ.თბილისი, სამტრედიის ქ. კორპ. 2.

2.1.2. შემსრულებელი ვალდებულია უზრუნველყოს შემკვეთთან შეთანხმებული საწარმოო პრაქტიკის სილაბუსით გათვალისწინებული სამუშაოს მაღალ დონეზე შესრულება;

2.1.3. თუ შესრულებული სამუშაო არადამაკმაყოფილებელია, შემსრულებელი ვალდებულია აღმოფხვრას ნაკლი შემკვეთის მიერ განსაზღვრულ ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში შემკვეთს უფლება აქვს გააუქმოს ხელშეკრულება და შემსრულებელს მოსთხოვოს მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

2.2. შემკვეთი:

2.2.1. შემსრულებელს მიაწოდოს პრაქტიკაზე გასაგზავნი სტუდენტების სია და პრაქტიკის სილაბუსი.

3. შემსრულებლის მომსახურების ანაზღაურების წესი

3.1. ამ ხელშეკრულებით გაწეული მომსახურება საწარმოო პრაქტიკა წარიმართება ანაზღაურების გარეშე. წლიური მოცულობით 150...600 სთ, რომელიც შეიძლება შეიცვალოს მხარეთა შეთანხმებით.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1. შემსრულებელი იღებს ვალდებულებას, ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაო შეასრულოს, ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის დღიდან სახელშეკრულებო პერიოდის განმავლობაში.

4.2. ხელშეკრულება ძალაში შედის ხემოწერისთანავე და მოქმედებს 2020 წლის 31 დეკემბრამდე.

5. სხვა პირობები

5.1. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შეიძლება მხარეთა შეთანხმებით.

5.2.მხარეთა პასუხისმგებლობა განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5.3. ყველა დავა, რომელიც წარმოიშობა მოცემულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით და მისგან გამომდინარეობს, მხარეები გადაწყვეტენ მოლაპარაკების გზით. წინააღმდეგ შემთხვევაში _ მიმართავენ სასამართლოს.

5.4. ხელშეკრულება შედგენილია ორ იდენტურ ეგზემპლიარად და ინახება მხარეებთან. ორივე ეგზემპლიარს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

6. მხარეთა მისამართები, საბანკო რეკვიზიტები და ხელმოწერები

<u>შემსრულებელი :</u> შპს „ჯეოინვესტი“ თბილისი, ხიმშიაშვილის ქ. 2–ის მიმდებარედ ს.კ. 401968466 _____ ბ. კუხალაშვილი		<u>დამკვეთი :</u> საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი კოსტავას ქ.77, ს/კ 211349192 _____ ა. ფრანგიშვილი